ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

EU4Environment-ის საინფორმაციო სემინარი:
"I-GO ასისტენტის" გამოყენება საქართველოში

დღის წესრიგი

თარიღი: 24 მარტი, 2023

დაწყება: 14:00 (ადგილობრივი დროით)
დასრულება: 15:30 (ადგილობრივი დროით)

შეხვედრის ბმული

ფორმატი: ონლაინ (Zoom-ის პლატფორმაზე)
ენა: ინგლისური და ქართული (სინქრონული თარგმანით)

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

შეხვედრის დეტალები

მიერთების ბმული:

https://us06web.zoom.us/j/84147501775?pwd=WnhKcHhOeXZwQnBjYzNxQm13ZW9TZz09

შეხვედრის ID: 841 4750 1775

პაროლი (Passcode): 170277

დღის წესრიგი

მოდერატორი: გიორგი აბულაშვილი, დირექტორი, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

დრო	**საკითხი**
14:00-14:15	**მისასალმებელი სიტყვები:** **გიორგი აბულაშვილი,** ეროვნული კოორდინატორი, UNIDO-ს სადემონსტრაციო პროექტი - რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) მცირე და საშუალო საწარმოებში **ტატიანა ჩერნიავსკაია**, EU4Environment პროექტის მენეჯერი, წრიული ეკონომიკის და რესურსეფექტურობის განყოფილება, UNIDO **დავით ადვაძე,** საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის დეპარტამენტი, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, EU4Environment ტექნიკური საკონტაქტო პირი
14:15-14:25	**ტრეისი ელ აჩკარი** - რეგიონული ჩართულობის კოორდინატორი, მწვანე ინდუსტრიის პლატფორმა **რესურსეფექტურობა - შესავალი**
14:25-14:35	**გიორგი აბულაშვილი –** რესურსეფექტურობის და სუფთა წარმოების პროექტები საქართველოში 2014-2023 წლებში: შედეგები და მოლოდინები
14:35-14:55	**ჰანეს მაკ ნულტი -** მენეჯერი, მწვანე ინდუსტრიის პლატფორმა **ტრეისი ელ აჩკარი** - რეგიონული ჩართულობის კოორდინატორი, მწვანე ინდუსტრიის პლატფორმა **I-GO ინიციატივისა და I-GO ასისტენტის შესავალი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის** • ზოგადი ინფორმაცია I-GO ინიციატივის შესახებ და რეგიონში I-GO საპილოტე პროექტის შედეგების მიმოხილვა • თვითშეფასების და ნავიგაციის პროცესის დეტალური ახსნა რეალურ დროში ინსტრუმენტის გამოყენებით • იმ ინდივიდუალური რეკომენდაციების ტიპისა და დამხმარე სერვისების ინდივიდუალური სიის განმარტება, რომელსაც I-GO ასისტენტი იძლევა

14:55-15:10	**გამოცდილების გაზიარება მონაწილეებს შორის** • რესურსეფექტურობისა და სუფთა წარმოების დანერგვის წარმატებული მაგალითების გაზიარება
15:10-15:20	**გიორგი აბულაშვილი, ჰანეს მაკ ნულტი** კითხვა-პასუხის სესია *ღია დისკუსია*
15:20-15:30	**გიორგი აბულაშვილი, ჰანეს მაკ ნულტი** შეხვედრის დასრულება და შემდგომი ნაბიჯები

EU4Environment-ის საინფორმაციო სემინარი: "I-GO ასისტენტის" გამოყენება საქართველოში

24 მარტი, 2023, 14:00-15:30, ონლაინ ფორმატი

ტრენინგის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

აღნიშნული სემინარი მიზნად ისახავს I-GO ასისტენტის ინსტრუმენტის შესახებ წარმოდგენის შექმნას მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, რათა მიღებულ იქნას უკუკავშირი, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს I-GO ასისტენტი მათი საჭიროებების შესაბამისად. სემინარი მოიცავს შესავალ სესიას რესურსეფექტურობის შესახებ, რასაც მოჰყვება I-GO Assistant ინსტრუმენტის დემონსტრირება და რესურსეფექტურობის დანერგვის თემატური კვლევის წარდგენა. სემინარის მთავარი შედეგი ასევე იქნება საქართველოში და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში კომპანიების და (მცირე და საშუალო ბიზნესის) მხარდამჭერი ორგანიზაციების კონკრეტული საჭიროებების უკეთ გაგება.

კერძოდ, სემინარი მიზნად ისახავს:

- მონაწილეთათვის I-GO Assistant ინსტრუმენტის გაცნობას;
- I-GO Assistant ინსტრუმენტის დემონსტრაციას;
- რესურსეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების თემატური კვლევების წარმოდგენას;
- საქართველოში მცირე და საშუალო საწამოებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების კონკრეტული საჭიროებების უკეთ გააზრებას;
- საწარმოებისთვის მდგრადობის კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრისათვის იდეების მიწოდებას.

მონაწილეები

შეხვედრაზე შეიკრიბება 50-მდე მონაწილე რესწ კლუბების წევრი და სადემონსტრაციო კომპანიებიდან EU4Environment (2019-2024) და EaP GREEN (2013-2017) პროგრამებიდან, რომლებიც განხორციელდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ევროკავშირის მხარდაჭერით, აგრეთვე რესწ ექსპერტები, ბიზნესის და მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან რესწ მეთოდოლოგიის

გამოყენებით თავიანთ საწარმოებში, და ასევე მთავრობის, აკადემიური და ტექნიკურ/საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ ჩაერთონ დისკუსიაში.

პრაქტიკული ინფორმაცია

შეხვედრა ჩატარდება 2023 წლის 24 მარტს, 14:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე.

ღონისძიება მოეწყობა ონლაინ, Zoom პლატფორმის გამოყენებით, ინგლისურ და ქართულ ენებზე (სინქრონული თარგმანით).

მიერთების ბმული:
https://us06web.zoom.us/j/84147501775?pwd=WnhKcHhOeXZwQnBjYzNxQm13ZW9TZz09

შეხვედრის ID: 841 4750 1775

პაროლი (Passcode): 170277

რეგისტრაციის ბმული

https://us06web.zoom.us/meeting/register/tZAsc-6trjotHdEvykeeLqPNWqflkBxtsQ8Z

ზოგადი ინფორმაცია

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment ინიციატივის ფარგლებში, გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO) ახორციელებს აქტივობებს, თემაზე „წრიული ეკონომიკა და ახალი ზრდის შესაძლებლობები“, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს მხარდაჭერით (როგორც ეროვნული განმახორციელებელი პარტნიორის). ამ ღონისძიების მიზანია ხელი შეუწყოს რესურსების (ენერგია, მასალები და წყალი) უფრო ეფექტურად გამოყენებას საქართველოს სამრეწველო საწარმოებში და შეამციროს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები.

UNIDO-ს მიერ ქვეყანაში განხორციელებული რამდენიმე ძირითადი აქტივობაა:

- რესწ ქსელის შექმნა და ინსტიტუციონალიზაცია
- რესწ კლუბები და სამრეწველო დემონსტრაციები
- წრიული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა
- რესწ ცნობიერების ამაღლება, ცოდნის მენეჯმენტი და შესაძლებლობების განვითარება
- მწვანე პროდუქტების ევროკავშირის ერთიანი ბაზრის (SMGP) დანერგვა: პროდუქტის გარემოსდაცვითი კვალის (PEF) მეთოდოლოგია

რესურსეფექტური და სუფთა წარმოება (რესწ) გამოიყენება როგორც ქოლგა-ტერმინი პრევენციული გარემოსდაცვითი სტრატეგიების პროდუქტებზე, პროცესებსა და სერვისებზე გამოსაყენებლად. UNIDO-მ შეიმუშავა რესწ მეთოდოლოგია, რათა დაეხმაროს საწარმოს მიერ გამოყენებული ყველა ტიპის რესურსისთვის დანაკარგების წყაროების იდენტიფიცირებას, ამ დანაკარგების ძირეული მიზეზების გამოვლენას, ასევე იმ ღონისძიებების შემუშავებასა

და მიზანშეწონილობის შეფასებას, რომლებიც მიმართულია იდენტიფიცირებული დანაკარგების შემცირებასა ან სრულად აღმოფხვრაზე.

რესწ-ის სადემონსტრაციო პროექტის კიდევ ერთი მთავარი კომპონენტია რესწ კლუბების ჩამოყალიბება, რომელიც შედგება სამრეწველო საწარმოებისგან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. რესწ კლუბები აერთიანებს მცირე და საშუალო საწარმოებს და ერთობლივად ატარებენ მათთვის ინტენსიური ტრენინგისა და ქოუჩინგის პროგრამას, რაც კლუბების საქმიანობის დასრულების შემდეგ რესწ-ის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე მიგვიყვანს.

I-GO-ს შესახებ:

I-GO ინიციატივა შემუშავებულია მწვანე ინდუსტრიის პლატფორმის მიერ, რათა დაეხმაროს რეგიონულ და ეროვნულ მცირე და საშუალო საწარმოებს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (რესწ) გაუმჯობესებაში. I-GO უზრუნველყოფს მხარდაჭერის სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს ყველაზე აქტუალურ არსებულ რესწ ცოდნას, ტრენინგს და დაფინანსების გადაწყვეტილებებს ცალკეული მცირე და საშუალო საწარმოს ყოველდღიურ საოპერაციო საჭიროებებთან. I-GO მხარდაჭერის სტრუქტურა დაფუძნებულია ინტერაქტიული ინსტრუმენტებისა და ქვეყნის და რეგიონული დონის თანამშრომლობის ქსელების უნიკალურ კომბინაციაზე.

ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალურად შექმნილია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის არის I-GO Assistant, მცირე და საშუალო საწარმოს თვითშეფასების და ნავიგაციის სწრაფი ონლაინ ინსტრუმენტი. I-GO ასისტენტი შეუსაბამებს მცირე და საშუალო საწარმოებს ყველაზე აქტუალურ რესწ ცოდნასა და მხარდაჭერის სერვისებს, რაც დაეხმარება მათ მათზე მორგებული რეკომენდაციების განხორციელებაში, მცირე და საშუალო საწარმოს რესწ სტატუსის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სექტორის გათვალისწინებით. I-GO ქსელი შეიქმნა იმისათვის, რომ გააუმჯობესოს გამოცდილების გადაცემა და საერთო თანამშრომლობა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. I-GO ქსელი ასევე მიზნად ისახავს გაუმჯობესოს წვდომა მიზნობრივ დაფინანსებაზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც აქვთ კარგი შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესის რესურსეფექტურობის ცოდნისა და მხარდაჭერის სერვისების ძირითადი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და რესურსეფექტურობის ბიზნეს-ქეისის შესაქმნელად.

„მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური შესაძლებლობების“ (GO4SDGs) პროგრამის მხარდაჭერით, I-GO ახლახან ამოქმედდა სამ რეგიონში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში და აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში (EECCA). I-GO-ს დანერგვის ამჟამინდელი საწყისი ეტაპი ფოკუსირებულია I-GO ასისტენტის პოპულარიზაციაზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და I-GO ქსელის შექმნაზე რეგიონულ და ქვეყნის დონეზე. I-GO-ს დანერგვის ფაზის პირველი ექვსი თვის სწავლებები გამოყენებული იქნება I-GO ასისტენტის ფუნქციების შემდგომი გაუმჯობესებისათვის და I-GO ქსელში ჩართულობის გრძელვადიანი აქტივობების განხორციელებისათვის.

EU4Environment-ის შესახებ

შეხვედრა ორგანიზებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროგრამის, „ევროკავშირი გარემოსათვის“ (EU4Environment – Green Economy) აქციის ფარგლებში,

რომელიც ეხმარება ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შეინარჩუნონ ბუნებრივი კაპიტალი და აამაღლონ ადამიანების ეკოლოგიური კეთილდღეობა გარემოს მხარდაჭერასთან დაკავშირებული ქმედებით, რაც მოახდენს მწვანე ზრდის შესაძლებლობების დემონსტრირებას და განბლოკვას და შექმნის გარემოსდაცვითი რისკებისა და ზემოქმედების უფრო ეფექტური მართვის მექანიზმებს.

EU4Environment ინიციატივას ახორციელებს ხუთი პარტნიორი ორგანიზაცია: OECD, UNECE, UNEP, UNIDO და მსოფლიო ბანკი 2019-2024 წლებში, 20 მილიონი ევროს ბიუჯეტით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ბმულზე: www.eu4environment.org

დამატებითი ინფორმაცია საქართველოში რესწ-ს შესახებ, იხილეთ: www.recp.ge.